დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 107 კვირა, 17 მაისი 1909 წ. № 107

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა [illegible] დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ამგები კომიტეტი ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 17 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი მწერლის

ეგნატე ნინოშვილის

(ინგოროყვას)

სულის მოსახსენებლად მის გარდაცვალებიდან 15 წლის შესრულების გამო. (3—3)

სოლომონ ალექსის ძე ყაზახაშვილი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 17 მაისს გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ ძმის

გოგლო ყაზახაშვილის

სულის მოსახსენებლად კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში.

ოლღა საჩინოს ასული შვილებითურთ, **ნატალია** და **სოფიო ილარიონის ასულნი გაბაშვილნი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 17 ამ თვეს, გარდახდილი იქნება გარდაცვალებულის

ვასილ ილარიონის ძის გაბაშვილის

სულის მოსახსენებლად ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (2—265—2)

წარმოდგენა № 2. ქართული თეატრი წარმოდგენა № 2.

კვირას, 17 მაისს, 1909 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ **ქ. ნ. დავითაშვილის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება

ლალატი

ისტ. დრ. 5 მოქმ. ა. სუმბათაშვილისა თარ. გ. ყიფშიძისა.

ზეინაბის როლს შეასრულებს **ქ. ნ. დავითაშვილი**, ანანიასას—**კ. მესხი**, ოთარბეგისას—**ვ. გუნია**, სულეიმან-ხანისას—**ვ. შალიკაშვილი**.

მონაწილეობას მიიღებს მთელი ამხანაგობა.

დასაწყისი სწორედ საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ორშაბათს 18 მაისს, ვერაზე „ედემი“-ს ბაღში **კნეინა მარიამ დავითის ასული ჭავჭავაძისა** ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების **სამუსიკო სკოლის** სასარგებლოდ გამართავს

„მაისობა-არიფანა“-ს

რადგან ყველა სანოვაგე შემომწირველთაგან შინვეა დამზადებული—ფასები უფრო ნაკლებია, ვიდრე რესტორანებში, სასმელების ფასიც ზომიერია. იმღერებს ფილარმონიულ საზოგადოების **მომღერალთა გუნდი**, დაუკრავს სამხედრო მუსიკა, საზანდარი და დუდუკი. გამართულ იქნება პატარა ლატარია-ალეგრი, ნიშანში თოფის სროლა, „პტი-შვო“ და სხვა და სხვა გასართობი. ცეკვა ქართული და ევროპიული. მსურველთათვის ერევნის მოედნიდან ივლიან **ავტომობილები**. ფასი ადგილებისა 30 კ. ბაღი და ბუფეტი ღია იქნება შუადღის 1 საათიდან. სურვილისამებრ ცალ-ცალკე სუფრა იქნება გაშლილი და საერთოც.

ბაღში შესვლის ფასი 30 კაპ., ხოლო ბავშვებისა და მოწაფეთათვის 15 კაპ.

ბილეთები იყიდება მასპინძელთან კნ. მ. დ. ჭავჭავაძესთან (გრიბოედოვის ქუჩა, № 10), სამუსიკო სკოლაში (ჭავჭავაძის ქუჩა, № 4) და „მაისობა-არიფანა“-ს დღეს ბაღის კარებში. (5—უ.—5)

ანონსი:

სულ ცოტა ხანში მიხეილის პროსპექ. იხსნება ახლად გაუმჯობესებული

ელექტრო-ბიოგრაფი „მუზა“.

იქვე ყოველ გვარ მოწყობილებით და მშვენიერ მწვანით ბაღი შესასვენებლად.

ელექტრო-ბიოგრაფისთვის

შენდება სპეციალური საზაფხულო დიდი შენობა ყოველ გვარ ახლად გამოგონილ მოწყობილობით. პარატები—უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა და ტეხნიკისა. უფრო დაწვრილებითი ცნობები და აგრეთვე ელექტრო-ბიოგრაფის გახსნის დღე ცალკე აფიშებში იქნება გამოცხადებული. (2—გაჟ.—2)

მიიღება ხელის მოწერა

დუტუ მეგრელის ნაწერებზე

ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ეღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ამ მაისის განმავლობაში გამოიწერს, ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების“ რედაქციის სახელზე ტფილისში ან გადაეცეს წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში ბ. შიო ქუჩუკაშვილს. ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება ბ. თომა მთავრიშვილთან.

ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავისს თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება“-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში. (10—უ.—4)

ექიმები კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—147)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ქუთაისში **გ. წერეთელი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც გაზაგოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი **მ. ნ. მელიქიშვილი**

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—79)

ექიმი **ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი **მ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი **ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

გამგეობა საზოგადოებისა

„განათლება“

ამით აცხადებს, რომ მის ქალთა პროგიმნაზიაში გამოცდა მისაღებად პირველ სამ მოსამზადებელ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ 1 და 2 კლასში დანიშნულია 26, 27 და 28 მაისისთვის.

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 6. (3—უ.—1)

დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—1)

მარგანეცის მრეწველთა შავი-ქვის ამხანაგობის

გამგეობა იწვევს ამ ამხანაგობის წევრებს, თანახმად ამხანაგობის წესდების მე 24 მუხლისა, საზოგადო კრებაზედ, რომელიც მოხდება ს. ჭიათურაში, თეატრის დარბაზში, ოთხშაბათს, მაისის 27.

განსახილველი საგნები:

1. ამხანაგობის დამოკიდებულების მოსპობა ბერლინის მარგან-სინდიკატთან.
2. ამხანაგთა შორის საურთიერთო ანგარიშის გამორკვევა.
3. ამხანაგობის ქონების დანაწილება. (6—ნ.—5)

ე. ალმაზოვის

ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში 20-დან 25 მაისამდე გაიხსნება მოწაფეთა ნაკერების გამოფენა და გაყიდვა. ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 4 ს. 7 საათამდე. (1—268—4)

◀ ქართული ▶

ხალხური სიმღერები და ლექსები

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ლექსები შეკრებილი და ნოტებზე დაწყობილი ი. კარგარეთლის მიერ. წიგნის ფასი 50 კ. (5—5)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 64)

ექიმი კბილისა **ნ. რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფელდტროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

მ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—62)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სახელოსნო სკოლაში

17 და 18 მაისს გამოფენილი იქნება ამ სკოლის **მოწაფეთა ხელ-საქმეები.** გამგეობა აუწყებს რა ამას წევრთ ზემოხსენებულ საზოგადოების და სხვათაც, ვინც-კი პროფესიონალურ სწავლას მნიშვნელობას აძლევს, იმედოვნებს, რომ თავის ყურადღებას არ დაიშურებენ და ინახულებენ მოწაფეთა ნამუშავარს. ყველა გამოფენილი ხელ-საქმე 31 მაისს განზრახულ ალეგრიისათვის არის დამზადებული. დათვალიერება შეიძლება 12-დან 4 საათამდე. (2—2)

კვირას, 17 მაისს,

ქართულ თეატრში

პეტრე გელეიშვილი

წაიკითხავს ქართულად ლექციას:

„ეგნატე ნინოშვილი და მისი დრო“

ფასები: პარტერში პირველი სამი რიგი 50 კაპ. დანარჩენი ბილეთები 20 კაპ.-დან შაურამდე.

ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში და „დროების“ და „ჩვენი აზრის“ რედაქციებში.

დასაწყისი სწორედ დილის 11 საათზე.

ამ დღეებში

იხსნება

სასახლის ქუჩაზე, ქართველ თავად-აზნაურთა სახლის ბაღში (ბანკის ბაღი)

ბაღი

რესტორანი

ამხ—ს „იუჟანხე“.

ბაღში დაუკრავს საოპერო ორკესტრი ბ-ნ ფალიაშვილის დირიჟორობით დღისით 2—4 ს., საღამოთი 9-დან ნაშუაღამევის 2 საათამდე. (3—267—2)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე $2^1/_4$—4 ს.

კალამქაროვი—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგუსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე $10^1/_2$—$11^1/_2$ ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ბალდინა-ნოვიცკაია—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

პივარსკი—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—38)

ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების

საბჭო

მეორედ იწვევს წევრებს საზოგადო წლიურ ჩვეულებრივ კრებაზე კვირას, 17 მაისს, დილის 11 საათისთვის ჭიათურის თეატრის დარბაზში.

განსახილველი საგნები:

1. მოხსენება საბჭოსი:
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა;
3. 1908 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
4. 1909 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება და
5. არჩევნები გამგეობის ერთის წევრისა და საბჭოს სამის წევრისა.

ეს კრება მეორედ კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს (5—ნ.—5)

ტფილისი, 17 მაისი

პეტერბურგის გაზეთები კვლავ ირწმუნებიან, სტოლიპინს მალე გადააყენებენო; დაიხურება თუ არა სათათბირო საზაფხულოდ, მაშინვე ახალი პრემიერი დაინიშნებაო. ცხადია, მაღალ ბიუროკრატიულ წრეებში უეჭველად ჰსურთ სტოლიპინის გაძევება: ერთ ინტრიგას მეორე მოსდევს და მოხერხებულ საბუთის, საბაბის ძებნა სასურველად დამთავრდება დღეს იქნება თუ ხვალ.

პირველის შეხედვით სრულებით გაუგებარია ეს დაჟინებული კამპანია პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ. რისთვის აითვალწუნეს მოღვაწე, რომელიც რეაქციის გასაძლიერებლად არაფერს ჰზოგავს, რომელიც ყველაფერს რეაქციონერთა სურვილისამებრ აბოლოვებს? სტოლიპინი ნამდვილი ავტორია იმ თვითმპყრობელობით კონსტიტუციისა, რომელიც ესოდენ ხელსაყრელ კომპრომისად მოევლინა ბიუროკრატიას რევოლიუციის შემდეგ; სტოლიპინმა, მისმა პოლიტიკამ, გამოიყვანა საისტორიო ასპარეზზე და გააძლიერა მავრი; სტოლიპინმა დაიფარა გაბატონებული კლასები აგრარულ რადიკალიზმისაგან და შექმნა 9 ნოემბრის სოციალური კანონმდებლობა; სტოლიპინმა დათრგუნა მებატონეთა სასარგებლოდ ძირითადი კანონები და შექმნა 3 ივნისის საარჩევნო უფლება და სხვა და სხვა. რას მოასწავებს, რომ ამოდენა ღვაწლს ივიწყებენ და თავიდან იშორებენ „სახელმწიფოს მხსნელს და შეუდარებელ პატრიოტს“, როგორც მას ორ წელიწადს უწოდებდნენ?..

იქნება სთქვას ვინმემ, რომ ეს წარსული ღვაწლია და ახლა სტოლიპინი სხვა გზას დაადგაო. მაგრამ ამის დამამტკიცებელ საბუთს ვერა ვხედავთ, წინააღმდეგს-კი ბევრს. ამას წინად იყო მომენტი, როცა სტოლიპინი პარლამენტის უფლებას გამოექომაგა რეაქციის წინააღმდეგ,—საზღვაო მთავარ-შტაბის შტატების საკითხში; მაგრამ უცბად მოვიდა გონს, ცოდვები მოინანია, და უკანვე წაიღო ყველაფერი, რაც სფერებში იწყინეს. რომ ცოდვების მონანიება გულ-წრფელი იყო და რომ სტოლიპინი ამიერიდან აღარ შესცდება, ამის საბუთს უკანასკნელი ღირს-შესანიშნავი ამბავი გვაძლევს, სახ. საბჭოში მომხდარი.

ჩრდილოეთ-დასავლეთის ცხრა გუბერნიაში, სადაც მებატონეთა უმრავლესობა პოლონელია, უმცირესობა კი რუსები, თავად-აზნაურობის წარმომადგენლებად საბჭოში პოლონელები აირჩიეს. ჭეშმარიტ რუსობამ ეს იწყინა და იმ თავითვე მოითხოვა საარჩევნო უფლების შეცვლა. მაგრამ მაშინ გვიან იყო და „მავრი“ გაჩუმდა მით უმეტეს, რომ არჩეული პოლონელი თავად-აზნაურნი საიმედო კონსერვატორები გამოდგნენ და არც თუ პოლონურ ინტერესების დაცვისათვის ზრუნავდნენ მაინცა და მაინც. გავიდა დრო, განთავისუფლდა რამდენიმე ადგილი და ამ ზაფხულს უნდა მომხდარიყო ახალი არჩევნები. ჭეშმარიტი რუსობა დაფაცურდა; დასავლეთ გუბერნიებიდან განსაკუთრებული დეპუტაცია პეტერბურგს მიიჭრა. მემარჯვენეებმა შესაფერი კანონ-პროექტი შეიმუშავეს. ერთის სიტყვით, დაიწყო ჩვეულებრივი განგაში. მაგრამ ეს კამპანია იმდენად უკანონო იყო და, უმთავრესად, იმდენად უსარგებლო (ხუთიოდე პოლონელი თავად-აზნაური სახ. საბჭოში ვის რას დაუშავებდა?), რომ ბევრს საეჭვოდ მიაჩნდა მისი გამარჯვებით დაბოლოვება. თვით სახელმწიფო საბჭოს ცენტრი წინააღმდეგი იყო პროექტისა, ოქტომბრისტები ხომ სასაცილოდ იგდებდნენ იმის ინიციატორთ, „მავრი“ არა სცხრებოდა მაინც და კულისებს უკან მუშაობას უმატა... დადგა საინტერესო დღეც. სახელმწიფო საბჭოში თვით სტოლიპინი მობრძანდა და საქვეყნოდ აღიარა: მთავრობა პრინციპიალურად მომხრეა კანონ-პროექტისა და თხოულობს მის გადაცემას კომისიაში. ამ განცხადებამ ცენტრსაც კი თავზარი დასცა. არავინ არ მოელოდა, რომ ასეთ საკითხშიაც სტოლიპინი შავრაზმელობას დაუთმობდა, რომ ერთ მუჭა მემამულეთა გულის მოსაგებად საარჩევნო კანონსაც შესცვლიდა და მთელის ეროვნების შეურაცხყოფასაც არ დაერიდებოდა. სტოლიპინის ასეთმა განცხადებამ ცნობილი თავის ზომიერებით გრ. ობოლენსკიც კი აალელვა და მრისხანე სიტყვა ათქმევინა: რასა შვრებით, საით მიგყავთ რუსეთი?!. სტოლიპინის ეს ნაბიჯიც, ვიმეორებთ, ცხადად მოწმობს, რომ იგი მზადაა ჭეშმარიტ რუსობას კვალ და კვალ მისდიოს შემდეგშიაც, მზადაა იქითკენ წაიყვანოს რუსეთი, საითაც დურნოვოს, პიხნოს და მთელ კამარილიას ჰსურს.

მაშ რად აითვალწუნეს ეს სახელმწიფო მოღვაწე, ეს ეროვნული მსახური რეაქციისა? ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ მარტო პირადი ანგარიშები მოქმედებდნენ, რომ ინტრიგის ქსელი გაბმულია მხოლოდ იმიტომ, რომ პრემიერობის ხელში ჩაგდება უნდოდეს რომელსამე ავანტიურისტს. ასეთი ახდილი ბრძოლა, ასეთი იერიში მთელ ფრონტზე ვერ აიხსნება მარტო პირადობათა ბრძოლით. უფრო საფიქრებელია, მაშასადამე, რომ რეაქციას მართლა უფრო ღრმა და დიდმნიშვნელოვანი მიზანი აქვს დასახული; საფიქრებელია მართლა, რომ „მავრს“ აღარ აკმაყოფილებს მთელი ახალი წეს-წყობილება, რომ თვითმპყრობელობითი კონსტიტუციაც უვარგის კომპრომისად მიაჩნია და უფრო შორს უნდა წავიდეს. პირველი ეტაპია—სათათბიროს კანონმდებლობის უფლების დამხობა, ე. ი. მთავარი მუხლი და დედა-აზრი ჭეშმარიტ-რუსთა კავშირის პროგრამისა. შავ-რაზმელთ, როგორც ყველაფრიდან სჩანს, გადაუწყვეტიათ, რომ საკმარისად შეამზადეს ნიადაგი ახალ სახელმწიფო „პერევოროტისათვის“ და უკანასკნელ იერიშს იწყებენ. სტოლიპინის და ოქტომბრისტების განზრახვა იყო, „მავრი“ თავის მხარეზე გადაებირათ და ჭეშმარიტ-რუსნი შეერიგებინათ ახალ წეს-წყობილებასთან. ამისთვის მოიტანეს აუარებელი მსხვერპლი, შესჭამეს სირცხვილი, განიცადეს მრავალი დამცირება და თურმე სულ ამაოდ: „მავრი“ კი არ „ეჩვეოდა“ სათათბიროს, ნიადაგს იმზადებდა და სტოლიპინს ითმენდა, როგორც დროებით სიბოროტეს, სიავეს. ეხლა, თავის ანგარიშით, დრო დაუდგა, ყველაფერი მზადაა და უკანასკნელ აქტის თამაშს იწყებს. ამ აქტში სტოლიპინი აღარ გამოდგება და, უეჭველია, მან ადგილი უნდა დაუთმოს პიხნო-დურნოვო-აკიმოვების კანდიდატს.

ასეთის ჩქარის ნაბიჯით მიექანება რეაქცია თავის ლოგიკურ დასკვნამდე. განმათავისუფლებელი მოძრაობა ძლეულ იქმნა და რეაქცია ეპირება სავსებით ისარგებლოს გამარჯვებით. კონტრ-რევოლიუციას კომპრომისი არა სწამს...

ეგნატე ნინოშვილი

დღეს, ნიჭიერ ქართველ ბელლეტრისტის ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების 15 წლის თავზე, ძეგლის ამგებ კომიტეტის თაოსნობით, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი. დღესვე პანაშვიდს გადიხდიან სადგურს მუხიანში, დღესვე ნინოშვილის სამწერლო მოღვაწეობასა და იმის დროზე საჯარო ლექციას წაიკითხავს ქართულ თეატრში ბ-ნი გელეიშვილი. რა თქმა უნდა, ისეთ ნიჭიერ მწერლის ხსოვნას, როგორც განსვენებული ნინოშვილი იყო, გაცილებით უფრო მეტი პატივი და დიდება შეეფერება, მაგრამ ის ბედშაობა, რომელიც წილად ჰხვდა მოწამებრივ ტანჯულს ნინოშვილს სიცოცხლით, თითქოს სიკვდილის შემდეგაც თავს არ ანებებს.

ჩვენს ღარიბ სამხატვრო მწერლობაში განსვენებულს ნინოშვილს ისეთი დიდი ადგილი ეკუთვნის, რომ იმისი საფლავი ჩვენთვის წმინდა სალოცავ ადგილის მაგიერობას უნდა სწევდეს, იმის თხზულებათა კრებული განუშორებლივ თვალ წინ უნდა გვქონდეს, ცალკე მოთხრობები და ეტიუდები ათი ათასობით უნდა ვრცელდებოდნენ [illegible]

ხში, მაგრამ ყველა ამის მაგიერ ჩვენ მხოლოდ იმის გადაცვალებას 15 წლის შემდეგ ძლივს ვიგონებთ, რომ იმის საფლავს მოწყობა და დაშვენება ესაჭიროება. ძლივს ვკრეფთ ამ მიზნისთვის რამდენსამე ას მანათს და მხოლოდ ორ ადგილას, ტფილისში და მუხიანში, ვაპირებთ ჩვენს პატივისცემის გამოცხადებას პანაშვიდის გადახდით.

პირველი დანაშაული, რომელიც ქართველ საზოგადოებას მიუძღვის ნინოშვილის წინაშე, ეს ის აუტანელი სილარიბე და გაჭირვებაა, რომელმაც ასე ნაადრევად გასტეხა იმისი მადლიანი კალამი. ეს სილარიბე სწორედ საზოგადოების დანაშაულობაა, ამ სიტყვის პირდაპირის მნიშვნელობით. ჩვენმა საზოგადოებამ საკმაო გულხალვათობა და გულგაშლილობა იცის იმ ყმაწვილ კაცთა სასარგებლოდ, რომელნიც გამაბრუებელ კორიანტელსააყენებენ თავიანთ ნიჭიერების შესახებ, იმ ნიჭიერების, რომელიც გამოურკვეველ მომავალში უნდა გამოსჩნდეს, ხოლო ისეთ თავგანწირულ და მართლა ნიჭით სავსე მუშაკებს კი, როგორიც ნინოშვილია, ვერც კი ჰხედავს. იმათ ჩვენი საზოგადოება მხოლოდ გაჭირვების კალოზე სიკვდილის უფლებას აძლევს...

ნინოშვილის ნაადრევი სიკვდილი ქართველ საზოგადოების პირველი დანაშაულობაა, ხოლო მეორე არა ნაკლები დანაშაულობაკი ის არის, რომ ამ მწერალს დღესაც ღირსეულად არ აფასებს. საკმარისია მოვიგონოთ რომ დღემდე ნინოშვილის ნაწერებს მხოლოდ ერთხელ ეღირსა გამოცემა, ისიც მწერლის გარდაცვალების ათის წლის შემდეგ (1904 წელს) და ამასთან ისეთი გამოცემა, რომ ამის ავკარგიანობაზე უმჯობესია მთლად გავჩუმდეთ.

ნინოშვილის მნიშვნელობა მოკლე საგაზეთო წერილში ძნელი გამოსარკვევია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ განსვენებულ ბელეტრისტის მგრძნობიერმა ბუნებამ განვლილ საუკუნის მეოთხმოცდა-ათე წლებში აუღო ალღო ქართულ ცხოვრების იმ ახალს ნაკადულებს, რომელთაც სტიქიონურად იფეთქეს ამ სამი, ოთხი წლის წინად. მას შემდეგ, განსაკუთრებით მოძრაობის შემდეგ, ბევრმა სხვა მწერალმაც სცადა ქართულ ცხოვრების დახატვა მხატვრულ სურათებად სწორედ ამ მხრივ, მაგრამ ნინოშვილის მაგიერობას მაინც ვერავინ ვერ ეწევა. თითქოს ჰგრძნობდაო, რომ წინ დიდი სიცოცხლე აღარა ჰქონდა, ისე გამალებული სწერდა განსვენებული თავის მოთხრობებს ერთი ერთმანეთზე. ამ სიჩქარისა გამო იგი ვერ ასწრობდა გარეგნობა თავის ნაწერებისა ყოველთვის სათანადოდ გაელამაზებინა, მაგრამ ღრმა ჩახედულება ცხოვრებაში, ბეჩავ ხალხის გულის მესაიდუმლეობა და ბუნებრივი მისწრაფება ესტეტიურ მშვენიერებისადმი ყოველთვის უხვად გადმოსჩქეფდა იმის კალმიდან. ჩვენი დროის მწერლებს ბევრი რამ ფრიად საგულისხმო და სასარგებლო შეუძლიანთ შეისწავლონ ნინოშვილის ნაწერებში, თუ გულდასმით გაეცნობიან მას და, ვფიქრობთ, რომ მოვა დრო, როცა ნინოშვილის თხზულებებზე აღზრდილი მწერლები სამაგალითოდ დაამშვენებენ ჩვენს ღარიბს სიტყვაკაზმულს ლიტერატურას.

მოვიგონოთ დღეს მაინც, ნინოშვილის გადაცვალების 15 წლის თავზე, იმისი სამწერლო მოღვაწეობა და ვეცადოთ იმის თხზულებათა პატივისცემით და შესწავლით გამოვისყიდოთ ის გულცივობა, რომელმაც ასე უდროოდ დაგვაკარგვინა ჩვენი ძვირფასი ბელეტრისტი.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 მაისი

ოსმალეთი

სტამბოლი. სენატმა მიიღო დროებითი ბიუჯეტი. პალატა არჩევს ახრარიების დეპუტატების იზმაილ-ქემალის და მუფიდის საქმეს, რომელთაც პალატიდან გაძევება და სამხედრო სამართალში მიცემა მოელით.

ვენა. „კორესპ.-ბიუროს" სოფიიდან ატყობინებენ: სანდო წყაროდან გავიგეთ, რომ მინისტრთა საბჭო ოსმალეთის მთავრობას ნოტით მიმართავს. ნოტაში სამინისტრო ოსმალეთის მთავრობას პროტესტს უცხადებს, აღმოსავლეთ რკინის გზების საკითხის გადაწყვეტას რად აგვიანებთო. ამას გარდა, ნოტაში ნათქვამია, რომ თუ ოსმალეთის მთავრობამ კიდევ შეაჩერა ამ საკითხის მოგვარება, ბოლგარიის მთავრობა თავის თავს თავისუფლად ჩასთვლის ყველა მოვალეობისაგან და ისეთ ზომებს მიიღებს, როგორსაც საჭიროდ იცნობსო.

სპარსეთი

ლონდონი. „ტაიმს" თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ: რადგან ქურთების მეთაურები თავიანთ ჯარისკაცებით მთებში წავიდნენ, ამიტომ აქაური მცხოვრებნი საჭიროდ სცნობენ, რომ რუსებმა თვალ-ყური ადევნონ თავრიზს იმ დრომდე, სანამ ახალი გუბერნატორი თავის მდგომარეობას განამტკიცებდესო.

საზღვარ-გარედ

პარიზი. მინისტრ-პრეზიდენტმა კლემანსომ და გარეშე საქმეთა მინისტრმა პიშონმა მოიწონეს კაზაბლანკის ინციდენტის გამო შემუშავებული ტექსტი ბოდიშისა. ბოდიში ერთმანეთის წინაშე უნდა მოიხადონ გერმანიამ და საფრანგეთმა. ბოდიშის მოხდა გადასწყვიტა ჰააგის სამედიატორო სასამართლომ.

ლონდონი. 14 მაისს გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ პალატაში სთქვა: გარეშე სახელმწიფოებთან დამოკიდებულების დროს აჩქარება არ ვარგა. ეხლა ევროპაში ისეთი საკითხი არ არსებობს, რომელსაც ინგლისისა და სხვა რომელიმე სახელმწიფოს დამოკიდებულების გამწვავება შეეძლოს, ამიტომ მე ისეთს არაფერს ვიტყვი, რომ ჩემმა სიტყვამ ვისთანმე დამოკიდება გაამწვავოსო. რაც შეეხება კუნძულ კრიტოსს, სახელმწიფოები თავიანთ გადაწყვეტილებას არ უღალატებენ და ივლისის უკანასკნელ რიცხვებში კრიტოსიდან ჯარს გაიყვანენ. ოსმალეთსაც შეუძლიან მშვიდობიანად გადასწყვიტოს ეს საკითხიო. დასასრულ, გრეიმ განაცხადა, კონგოს საკითხი ძალიან რთულია და ინგლისის მთავრობამ ამის შესახებ უკვე მოლაპარაკება გამართა ბელგიასთანაო.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. 14 მაისს სამხედრო სასამართლოების რეფორმის შესახებ კანონ-პროექტის განხილვის დროს დეპუტატმა ლაბორიმ მთავრობას უსაყვედურა, უკან იხევთო. დეპუტატს ლაბორის და სამხედრო მინისტრის ამხანაგ შერონს ცხარე კამათი მოუვიდათ. პალატის სხდომის გათავების შემდეგ ლაბორიმ და შერონმა ერთმანეთი დუელში გამოიწვიეს.

ვენა. საბიუჯეტო კომისიამ მიიღო იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტი. კომისიის სხდომის დროს გერმანელმა რადიკალმა მალიკმა ჩეხელ აგრარის როლსბერგს რენეგატი უწოდა. როლსბერგმა მალიკი დუელში გამოიწვია. მალიკი დასთანხმდა.

მარსელი. 14 მაისს კერძო გემების 2,000 მატროსმა კრება გამართა. კრებაზე დაადგინეს, განაგრძონ გაფიცვა კრება ყველაფერში ბრალს გემების პატრონებს სდებს, ესენი კანონის წინაამდეგ წავიდნენო.

ვენა. მოხდა მალიკისა და როლსბერგის შორის დუელი. ორივე მხარემ დამბაჩები ისროლეს. რადგან მალიკის რევოლვერი გაფუჭებული გამოდგა, ამიტომ დუელი გათავებულად არ ჩაითვალა. არც ერთი არ დაჭრილა. მოპირდაპირეები არ შერიგებულან.

რუსეთი

პეტერბურგი. მთავარმა სამხედრო სასამართლომ, მოისმინა სამხედრო სასამართლოს პროკურორის თანაშემწის პროტესტი საიმპერატორო თეატრის კასის გატარცვის საქმის განაჩენის გამო. პროკურორის თანაშემწე პროტესტს აცხადებდა ექიმ კორნილიევის გამართლების შესახებ. მთავარმა სამხედრო სასამართლომ უშედეგოდ დასტოვა პროკურორის პროტესტი. ამავე დღეს სასამართლომ მოისმინა საიმპერატორო თეატრის გატარცვის გამო ექვსი ბრალდებულის საკასაციო საჩივარი. საკასაციო საჩივარი უყურადღებოდ დასტოვეს.

ტომსკი. 11 მაისს ნოვონიკოლაევსკაში დიდი ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლისაგან 800 სახლამდე დაიწვა. 8.000 მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა.

პეტერბურგი. იუსტიციის მინისტრმა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს შეატყობინა, რომ დეპუტატი პერგამენტი სამართალშია მიცემული. იუსტიციის მინისტრი პერგამენტს შემდეგს აბრალებს: ნაფიცმა ვექილებმა პერგამენტმა, საზონოვმა და არონსმა წინდაწინვე შეთანხმებით სტატსკი სოვეტნიკის ცოლს ოლგა შტეინს ხელი შეუწყეს საზღვარ-გარედ გაქცეულიყო; თუმცა მათ იცოდნენ, რომ ოლგა შტეინს სხვა და სხვა ბოროტმოქმედება ჰბრალდებოდა, მაგრამ მაინც შეძლება მისცეს გაქცეულიყო და ამ რიგად ოლგა შტეინს ასცდა კანონიერი სასჯელი. პერგამენტმა და ზემოდ მოყვანილმა ორმა ნაფიცმა ვექილმა უშოვნეს ოლგა შტეინს თანამგზავრი, გაძღოლეს ტანისამოსი, უჩვენეს გზა და, ამრიგად, ოლგა შტეინი საზღვარ-გარედ გაიქცა. ამას გარდა, პერგამენტმა იცოდა შტეინის საცხოვრებელი ადგილი და ამასთან მიწერ-მოწერა ჰქონდა. ამასთანა მოქმედება ბოროტ-მოქმედის დამალვის ნიშნავს და პერგამენტი და იმისი ორი ამხანაგი სამართალში იქნებიან მიცემულნი.

პეტერბურგი. კოვენსკის შესახვევში დაიწვა ხუთ სართულიანი სახლი. ამ სახლში მოთავსებული იყო „სელსკი ვესტნიკის" სტამბა. ზარალი 300,000 მანეთს უდრის. ცეცხლის ჩაქრობის დროს დაშავდა რამდენიმე ცეცხლის მქრობელი.

პეტერბურგი. სენატმა უყურადღებოდ დასტოვა დეპუტატ პურიშკევიჩის საკასაციო საჩივარი. პურიშკევიჩმა სენატში გაასაჩივრა სასამართლოს განაჩენი, რომლითაც პურიშკევიჩს ფილოსოფოვს და ქალთა კრების შეურაცხყოფისათვის ერთი თვით დაპატიმრება ჰქონდა გადაწყვეტილი.

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

კანონ-პროექტი სტაროობრიადცების შესახებ.

15 მაისის სხდომაზე სათათბირომ სრულიად მოულოდნელად დაამთავრა განხილვა საყურადღებო კანონ-პროექტისა სტაროობრიადცების შესახებ. მიზეზი ამისა ის იყო, რომ სათათბირომ მიიღო წინადადება ორატორების რიცხვის შემცირების შესახებ. დაადგინეს, ექვსმა კაცმა წარმოსთქვას მხოლოდ სიტყვა: სამმა—მომხრემ, სამმა—მოწინააღმდეგემ.

ამ დადგენილებამდე ილაპარაკა ზომიერმა მემარჯვენემ კრუპენსკიმ. მან პირდაპირ განუცხადა დეპუტატებს—თქვენი მეცადინეობა ამაოდ ჩაივლის. სულ ერთია, თქვენ რომ მიიღოთ, სენატი და მთავრობა არ შეიწყნარებენ იმ ცვლილებებს, რომელიც კომისიამ შეიტანა კანონ-პროექტში, ესე იგი იმ.ს, რაზედაც ამდენი ცავაა.

ექვს დეპუტატიდან წინააღმდეგ ილაპარაკა ტიხინინმა, ვიაზიგინმა და ლვოვმა. მათ ახალი არაფერი უთქვამთ და გაიმეორეს ის, რაც სხვა რეაქციონერებმა უკვე განაცხადეს.

მხარი დაუჭირეს სტაროობრიადცების უფლებების გაფართოვებას კარიაკინმა, გუჩკოვმა და ჩხეიძემ. გუჩკოვმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა. მოიგონა, როგორ სდევნიდნენ და აწიოკებდნენ სტაროობრიადცებს სარწმუნოებისთვის. აღნიშნა ისიც, სტაროობრიადცების [illegible] (ქრთამებით) როგორ [illegible] ტო [illegible] გუბერნატორები და გენერალ-გუბერნატორები. გაიხსენა უკანასკნელი ომიც, როდესაც სტაროობრიადცების მუდარა არ შეიწყნარა მთავრობამ და მათ სამღვდელო პირებს ნება არ მისცა ჯარში ყოფნისა დაჭრილ-დაკოდილ სტაროობრიადცებისთვის უკანასკნელ ნუგეშის საცემად.

ჩხეიძემ აღნიშნა მემარჯვენეთა კაცი-ჭამიაობა.

მემარცხენე მღვდელმა-დეპუტატებმა აღნიშნეს ეპისკოპოს ევლოგის და მემარჯვენე მღვდლების რეაქციონერობა და განაცხადეს, მხარს დაუჭერთ სტაროობრიადცებსაო.

ბოლოს სათათბირომ, ხმის უმეტესობით, მიიღო კანონ-პროექტი იმ ცვლილებებით, რომელიც კომისიამ შეიტანა.

ქართულ ლიტერატურის მოსალოდნელი განახლება

(Н. Марръ: „Iоаннъ Петрицкiй, Грузинскiй Неоплатоникъ XI—XII вѣка", с.-Пб. 1909).

სწორედ შურით შევყურებ ჩვენს ახალსა და მომავალ თაობას, რომელსაც უხვი და მდიდარი მასალა ექნება ჩვენის ისტორიისა და ლიტერატურის შესასწავლად. ჩვენს დროში, გულითა და სულითაც რომ გწყურებოდა სამშობლო ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა, ან ისეთ სახელმძღვანელოს წააწყდებოდი, რომელიც საუკუნოდ მოგიწამლავდა სურვილს, ან სულ ვერაფერს ვერ იშოვიდი. ეხლა კი დღითი დღე ისეთი შრომა გამოდის ჩვენის ისტორიისა და ლიტერატურის ღრმა მცოდნე მკვლევარებისა, რომ არაფრადაც გეპიტნავებოდეს ქართულ ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლა, ძალით მოგანდომებს. ამ გვარ შრომას ეკუთვნის იგ ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორია", „ქართველ ერის ისტორია", „Государственный строй Д. Грузiи и Д. Арменiи". მდიდარი და ნაყოფიერია აგრეთვე ის ლიტერატურული მეცნიერული ნაწერი, რომელიც ეკუთვნის ჩვენს თანამემამულეს პროფესორს და აკადემიკოსს ნ. მარს. მისი მეცნიერული გამოცემა „შავთელისა და ჩახრუხაძის ოდებისა [1]) უნდა

ტფილისიდან ჯულფამდე

ერთის თვალის გადავლებით.

(მგზავრის წერილები)

ნაშუადღევის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც მატარებელი დაიძრა და ქშინვა-კვნესით ნელ-ნელა განშორდა ტფილისის სადგურს. ვაგონის ბაქანზე ვიდექ. ჩემ წინ მთელი ქალაქი გაშლილიყო.

აი, კრწანისის ველიც—უკანასკნელი სცენა საქართველოს დიდ ტრაგედიის უკანასკნელ მოქმედებისა. მშვენიერი მზიანი დარი იდგა. კრწანისის ველს რაღაც თხელი მოლურჯო ბული გადაჰფენოდა. უნებლიედ გამახსენდა პოეტის სიტყვები კრწანისის ბრძოლაში დახოცილ გმირებზე თქმული: „ბევრთ ქართლელ ყრმათა, ნუგეშთა ქართლის, დასდევს აქ თავი მამულისათვის. სადღა არიან აწ ესე კაცნი, ჰაერში გაჰქრა მათი სახელი". მეც ჰაერს დავაჩერდი, თითქო იქ უნდა დამენახა გმირთა თავ-დადებულთა სახეები. მაგრამ ამაოდ. ჩემ თვალს მხოლოდ იგივე თხელი ბული ჰხვდებოდა. ყურებშიაც ქალაქის ხმაურობისაგან ავარდნილი საერთო გუგუნი მესმოდა. გამახსენდა, რომ ხვალ დიდი დღესასწაული იყო, დახოცილ გმირთათვის არავის სცხელოდა. დღეს ყველას დახოცილი ინდაური და გოჭი აინტერესებს, რომ ხვალ ჩვეულებას არ უღალატოს და სუფრაზე რაც შეიძლება მეტი სანოვაგე დაალაგოს. თავდადებულთა სანუგეშოდ იმავე პოეტის სიტყვებმა გამიელვა: „ქართლი თქვენ სახელს არ დაივიწყებს, ალა-მაჰმად ხანს ვიდრე ახსენებს".

„დიახ ასე, დიახ ასე, სწორედ, სწორედაო", გამომებანა მატარებელიც ბორბლების ჯახა-ჯუხით და ორთქლმავალმაც დაიკივლა. მატარებელმა თანდათან ფეხი აიდგა და ბრიგინ-ბრიგინით გაგვაქანა.

გავცილდით ნავთლუღს. ტფილისის დიდრონი სახლები დაპატარავდნენ. მამა დავითი არწივის ბუდესავით მოსჩანდა, კრწანისიც მიგვეფარა. მატარებელმა მარჯვნივ, სამხრეთისკენ იბრუნა პირი. გავედით მტკვარზე იქ, სადაც თავდება უკანასკნელი კალთა თრიალეთის მთებისა და მივადექით სადგურ სოღანლუღს. ჩვენ თვალ წინ გაიშალა თვალ-უწვდენელი ფართო გული, რომლის შუაგულზე ხშირ ტოტებად დაშლილი, მიიკლაკნება მტკვარი. ეს გაშლილი ველი, ეს ღია კარი ორი ათასის წლის განმავლობაში თავისუფლად უშვებდა აზიის უანგარიშო ურდოებს ტურფა საქართველოს ასაკლებ-ასაოხრებლად. ამ ღია კარმა გაუადვილა საქართველოს უკანასკნელ აშკარა მტერს ალა-მაჰმად-ხანს პირდაპირ ტფილისს მოსდგომოდა და შინ და გარედ ღალატით მოუზამული მოხუცი გმირი—პატარა კახი დაემარცხებინა. ამ მიდამოების ერთი გადახედვა დაარწმუნებს კაცს, რომ ტფილისის აშენებას მარტო გორგასლანის ქორხოხობის ლეგენდა არ ედო სარჩულად. აღმოსავლეთით საქართველოზე მოსულ მტერს ბუნებრივ სიმაგრედ პირველად ტფილისი უხვდება, და ერს, რომელიც ასე თუ ისე მომწიფებულა პოლიტიკურად, უსათუოდ მტკიცედ უნდა გაემაგრებინა ხელოვნურის ციხითაც ეს მტრის შემოსავალი კარი. ეს მხარე რომ გეოგრაფიულად სხვანაირად ყოფილიყო მოწყობილი, საქართველოს ბედიც ალბად სულ იქნებოდა.

სოღანლუღიდან მატარებელმა სამხრეთ-დასავლეთით იბრუნა პირი. შავ-ნაბადი, რომელიც ასე ლამაზად წამოჭიმულა თრიალეთის მთის კალთაზე, ქალაქიდან რომ უყურებ, მთის სწორ ზეგანზე გგონია აშენებული. ნამდვილად-კი შავ-ნაბადა შაქრის თავივით წოწკლოკინა პატარა გორაკზეა გაშენებული. ეს გორაკი ძუძუსავით ამობურთულა მთის ზურგზე. ახლა ჩვენგან იგი ჩრდილოეთისაკენ იყო. აქედან მართლაც და საუცხოო სანახავია. ადვილად შესაძლებელია, რომ ეს კონუსის მსგავსი პატარა მთა ვულკანი იყოს და ერთ მშვენიერ დღეს მოქმედებაც დაიწყოს...

გავიარეთ რამდენიმე ვერსი და ჩვენ წინ გაიშალა კუმისის ტბა.

კუმისის ანუ სხვანაირად კოდის ტბა გვარიანად მოზრდილია. ვერსნახევარი იქნება სიგრძე-სიგანით. წყლით ეტყობა მდიდარია. ვახუშტი ამბობს: „ტბა კუმისისა, მლაშე, შესდის წყარო კოდისა, კვალად ერთვის კოჟრისა და გუდელისის ხევის წყალი *). ბევრი ვათვალიერე, მაგრამ ეს ხევები ვერ შევამჩნიე. ალბად მატარებლის სიჩქარისა და ტბა დასავლეთ ნაწილის სიშორისა გამო ვერ დავინახე. ტბას ნაპირები სუფთა და მშრალი აქვს და ამიტომ ადვილად მისასვლელია. სამხრეთის ერთ-ერთ კუთხეში ორი პაწია კუნძულიც შევამჩნიე. ქარი საშინლად ჰქროდა და ეს ერთი ბეწო ტბაც თავისს წესზე ღელავდა. ზვირთს-ზვირთზე ნაზად აგორებდა. მისი ტალღები მზის სხივებზედ ზოგგან ლურჯად, ზოგან მტრედის-ფერად და ზოგგან კიდევ მწვანედ მოსჩანდა. წყალს სამკურნალო თვისება აქვსო, მითხრეს.

განათლებულ უცხოეთში ასეთ დიდ ქალაქის მახლობლად (ტფილისიდან 20 ვერსია), ალბად ასე არ გაუშვებდნენ ამ ტბას: ირგვლივ აგარაკები და ბაღები გაშენდებოდა და ტბაზე ლამაზი ნავებით მოსეირნეთა მხიარული კისკისი არე-მარეს გაალვიძებდა, მაგრამ ჩვენში ქალაქ გარედ ნავით სეირნობა კი არა, შუა-გულ ქალაქში, ალექსანდრეს ბაღშიაც აღკრძალულია თავისუფლად სეირნობა. მითხრეს, ვიღაც ექიმი აპირებს ამ ტბასთან სამკურნალო აბანოების გამართვასაო, ვნახოთ.

ამ ტბიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით, ხუთი-ექვსი ვერსის მანძილზე გახლავთ ცნობილი თელეთის საყდარი.

კუმისის ტბიდან პირდაპირ სამხრეთით ვიბრუნეთ პირი და მიუახლოვდით სადგურ სანდარს. ამ ალაგას ჩამოდის მდ. ალგეთი.

მდ. ალგეთი ქსნის ტოლა არ იქნება. გამოდის შუა თრიალეთიდან, მანგლისის დასავლეთით, იმის სათავის მახლობლად გაშენებულ იქნა კლდე-კარის ციხე ლიპარიტ ორბელიანის მიერ მეთერთმეტე საუკუნეში. ალგეთი ჯერ დასავლეთით მიმდინარეობს, ჩამოუვლის მანგლისს შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით იკვლევს გზას, სანამ ბარად არ ჩამოვა და პირდაპირ მტკვარს არ შეუერთდება რკინის გზის ხიდიდან რამდენიმე ვერს ქვემოდ, ს. მუღანლოში. ალგეთის სიგრძეზე ძველად ბევრი მაგარი ციხე-სიმაგრე და ეკლესია იყო აშენებული.

სადგურ სანდარს აქებენ ღვინის სიიაფით. დამარწმუნეს, კაი ღვინო ვედრო მანეთ-ექვსი აბაზი ღირსო. მართლაც, გაჩერდა თუ არა მატარებელი, ზოგი მგზავრი ბოთლით ხელში მახლობელ დუქნებისკენ გაეშურა. ბოთლობით ორ-ორ შაურად ეყიდნათ. ტფილისიდან სანდარამდე 34 ვერსია.

ტფილისიდან სანდარამდე ბუნება ერთ-ფეროვანი და მოსაწყენია, სულ მინდვრები და ალაგ-ალაგ ხრიოკი კლდეები. სანდარ-დან ბუნებას სხვა ელფერი ედება. მინდორი უფრო მწვანეა, ბალახიც უფრო მაღალია. აქა-იქ ბაღებიც მოსჩანს.

გავიარეთ მდ. ხრამი, რომელიც ლიახვის ტოლა იქნება. მდ. ხრამი გამოდის ყარაჯაის მთის ძირში, ს. ციხის ჯვრის მახლობლად. სიტყვა ხრამი საზოგადო სახელი უნდა იყოს. ამ მდინარეს ვახუშტი უწოდებს ქციის ხრამს, მაშასადამე, სხვა ხრამიც ყოფილა. ქციის სათავესთან ძველად იყო მოდამნახის ციხე. არ ვიცი, თუ რა მოსაზრებით, ვახუშტი ამბობს: „ახალქალაქიდან დის ქცია სამხრეთით დაბის ქციისამდე". ნამდვილად კი ქცია ანუ ხრამი სათავიდანვე აღმოსავლეთით მიმდინარეობს. ახალქალაქი კი ძევს ქციის სათავიდან სამხრეთით დაახლოვებით 25-30 ვერსის მანძილზედ. ხრამის სათავე თითქმის ბორჯომის მერიანზეა. ბორჯომიდან ხრამის სათავემდე რომ სწორი ხაზი გავატაროთ, ოც ვერსზე მეტი არ იქნება. ხრამი ჯერ აღმოსავლეთით მიმდინარეობს თავკიდელის და კენჭკარის მთების გვერდ-გვერდ. თავკითელის მთის ბოლოს ს. რეხასთან მაგარი კლდეები ეღობებიან წინ და იძულებულია სამხრეთისკენ იბრუნოს პირი. წალკის დასავლეთით, ისევ აღმოსავლეთისკენ ბრუნდება. ჩამოდის წალკაზე. წალკის ბოლოს ხალიკის მთის ფერდობები უხვდება და პირს ისევ სამხრეთით იბრუნებს, მაგრამ პირველ მარჯვე ალაგას ისევ აღმოსავლეთით ბრუნდება, ნახევარ წრედ უვლის ხალიკის მთას და პირდაპირ აღმოსავლეთისკენ მიემართება, ათ-თორმეტ ვერს ვერ გაივლის, რომ ლისას მთა სოლივით გაეჩხირება განდაგან და აიძულებს ისევ სამხრეთით მობრუნდეს. ჩამოივლის ს. დიდ-გომარეთის აღმოსავლეთით ლისას მთასაც ნახევარ წრედ შემოევლება; მაინც თავისას არ იშლის და ისევ აღმოსავლეთით იკვლევს გზას, ჩამოდის ციხე სამშვილდეზე, რომელსაც წინად ორბეთი ეწოდებოდა, აღბულახის (ბელი კლიუჩი) მახლობლად. ხრამი მედგრად ებრძვის ღრე-კლდეებს, ჩადის ბარად და უერთდება მტკვარს ალგეთის შესართავს ცოტა ქვემოდ.

ხრამის შესართავთან იყო ქართლოსის მიერ აშენებული მტკვრის ციხე, რომელსაც შემდეგ ხუნანი დაერქვა, ხოლო როცა იმის არე-მარეში მაჰმადიანები გაბატონდნენ, ყიზ-ყალა (ქალის ციხე) დაარქვეს. ეს ერთი შესანიშნავ ადგილთაგანი იყო მთელ საქართველოში. ტფილისზე მიმავალი მტერი ჯერ ხუნანს მიადგებოდა და თავის თავად ცხადია, რომ ტფილისის წინ, აოხრება-დარბევას ჯერ ხუნანი იგემებდა. მეფე ფარნავაზმა საერისთაოდ გახადა. როსტომ მეფეს აქ ქვიტკირის ხიდი გაუდვია. ვახუშტი ასე აწერს ამ ხიდს: „დიდ შვენიერი, რომლისა სვეტსა შინა არს სახლი შვენიერი, მჰვრეტი ამიერ და იმიერ მდინარისა. სივრცე ხიდისა ათი მხარი"[2]).

მდინარე ხრამს საერთოდ მიმდინარეობა აქვს ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. სათავიდან ხალიკის მთამდე უტყეო ადგილებზე მიდის, ხალიკ მთიდან სამშვილდემდე ტყით დაფარულ ადგილებში მიმდინარეობს. ამ ადგილებში ხრამი საშინლად დაკლაკნილია. სამშვილდეს შემდეგ შესართავამდე ისევ ტიტველა ადგილებში

---

[1] Древне-грузинскiе одописцы (XII в.) грузинскiй текстъ, изслѣдовалъ издалъ и словаремъ снабдилъ. Н. Марръ, с.-Пб. 1902 г.

*) ვახუშტი: «საქარ. გეოგრ.», გვ. 63.

[2] ვახუშტი: „საქ. გეოგ.", გვ. 59.

ჩაითვალოს მთელს ეპოქად ჩვენის ლიტერატურის განახლებაში. დღემდის მშრალი, დღემდის გაუგებარი და თითქმის ყველასაგან უყურადღებოდ დატოვებული ჩახრუხაძისა და შავთელის ნაწარმოებნი, დარწმუნებული ვარ, ამ შრომის შემდეგ ყოველ ქართველისათვის აუცილებელ წიგნად ჩაითვლება.

ზემოდ ამოწერილი წიგნაკი შეეხება **იოანნე პეტრიწის** და მის ფილოსოფიურ მოღვაწეობის გამოკვლევას. სამართლიანის შენიშვნით იწყებს ამ წიგნს ბ-ნი მარრი: მართალია, იოანნე პეტრიწის სახელი დიდად განთქმულია საქართველოში და ღრმა ფილოსოფოსის სახელი აქვს მოხვეჭილი, მაგრამ ქართულ სიტყვიერების მკვლევარნი ახლოც არ მიეკარებიან იმის ნაწარმოებს და კაცმა არ იცის, რა საბუთზე ამყარებენ ამგვარ დიდებას პეტრიწისას ან რომელ ნაწარმოებს სთვლიან იმის ღრმა ფილოსოფიის ნიმუშადა. და მართლაც, ყველას ტუჩზე გვაკერია „დიდებული, შესანიშნავი, სახელოვანი“ და სხვა ეპიტეტებით შემკული იოანნე პეტრიწი, მაგრამ ისიც კი არ ვიცით, იქმნება ჩვენი ამგვარი შეხედულება ყალბის ცნების ნამყოფი იყოს. ნ. მარრის უკანასკნელ შრომაში ჩვეულებრივის ნიჭითა და ცოდნით არის განხილული ეს საგანი და, ჩვენდა სასიამოვნოდ, მომავალ თაობას შეურყეველს საბუთს აძლევს იმისას, რომ ქართველებს შეუძლიანთ თავი მოჰქონდეთ და მოსწონდეთ იოანე პეტრიწის სახელით, რომლის ღრმა ფილოსოფიის ერთ-ერთ ნიმუშად ჩვენს ავტორს მიაჩნია **„კავშირნი ღვთის-მეტყველებითნი“** დიოდოხ პროკლისა“, პეტრიწის (პეტრიწი სახელია მონასტრისა მაკედონიაში) მიერ თარგმნილი, მისივე კომენტარიებით. ამ თხზულებას პირველი ადგილი უჭირავს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სომეხ-ქართველთათვის და შეუდარებელი ფასი აქვს ქართულ კულტურისათვისაო, ბრძანებს ნ. მარრი.

პროკლის თხზულების ყოველ თავს მოსდევს კომენტარია და თარგმანების (კომენტარიის) თავები ორიგინალის მუხლებზე უფრო დიდია ხოლმე[2]).

კომენტატორის აზრები თავს დასტრიალებს არა მარტო ნეოპლატონიკებს, არამედ სარგებლობს საზოგადოდ ძველის პოეტებითა და ფილოსოფოსებით. ხშირად მიმართავს ხოლმე **ჰეზიოდსა** და **ჰომიროსს**, **იპოკრატსა**, **ემპედოკლსა** და **პარმენიდს**, ვითა ავტორიტეტებს, რომელთა ნაწარმოებით და აზრებით სარგებლობს. უფრო ხშირად პლატონის თხზულებებს მიჰმართავს და უწოდებს ხოლმე „დიდებულს“, „ღვთაებრივს“. **სოკრატის** სახელი წამდაუწყუმ შეგხვდებათ, თითქმის ყოველ გვერდზე და ამ შემთხვევაში კომენტატორი პლატონის თხზულებებით ხელმძღვანელობს. **არისტოტელის** თხზულებებიდანაც სესხულობს ზოგიერთ ადგილს, მაგრამ არისტოტელი უფრო არ მოსწონს: გაუგებრობასა და არეულობას სწამებს. ნეოპლატონიკებში პირველ ადგილზე აყენებს: **პლოტინს**, **იამვლიხს** და **პორფირეს**.

პროფესსორი ნ. მარრი დიდის ქებით იხსენიებს ამ ნაწარმოებს: როცა შეადარებთ ქართულს ტექსტს პროკლის ნაწარმოების ბერძნულ დედანთან, დაინახავთ, თუ რა დიდის ღირსებით არის შემკული ქართული თარგმანი; დაინახავთ იდეალურს ტეხნიკას ამ თარგმანისას, რომელიც თანაც სულ ახლოა დედანთან; თქვენ დაინახავთ, რა დანამდვილებით არის გადმოცემული არა მარტო აზრი, არამედ გარეგანი ფორმა, ფრაზათა წყობილება, კერძო ტერმინოლოგიამ დედნისა... **იოანნე პეტრიწი**—განაგრძობს ავტორი:—ჰქმნიდა ქართულს ენას გარეშე ცხოვრების ცოცხალის წყაროისა. ნეოპლატნიკი იყო და როგორც ასეთი, ენას ისე კი არ უყურებდა, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, არამედ განყენებულ თვითებად მიაჩნდა, დროისა და სივრცის დამოუკიდებულად, და ამიტომაც სცდილობდა გარდაექმნა ქართული ენა ღირსეულ იარაღად მისგან აღიარებულ ფილოსოფიის გამოსასახავადაო.

გასაოცარიაო, ამბობს ნ. მარრი, ის დაუშრეტელი წყარო, ის სწორედ ჯადოსნებური ძალა, რომელიც იყო იოანნე პეტრიწის განკარგულებაში და რომლის შემწეობითაც პოულობენ ქართულს ენაში საჭირო მასალას, რათა სავსებით გარდმეცა ყოველგვარი მხარე ბერძნულ ორიგინალისა, სავსებით გადმეტანა თარგმანში მეტად მძიმე, განყენებულისა და რთულის დიალექტიკის ნიმუში.

მისი თარგმანი სტრიქონს კი არა, ანბანსაც კი ეთანხმებაო და ეს ბერძნული ენის ყურმოჭრილი მონობით კი არ მოსდის, არამედ მხოლოდ და მარტო იმ განონიერის სურვილით, რომ გადმეცა თავისს სამშობლო ენაზედ ორიგინალის ფილოსოფიური აზრები, რამდენადაც შეიძლება დაახლოვებულს და ნამდვილს ფორმულებში, რათა შეექმნა სამშობლო ენაზე ბერძნულის მსგავსი ფილოსოფიური სტილი.

კიტა აბაშიძე.

(დასასრული იქნება)

---

[2]) ქართული წყაროები და აგრეთვე ზოგიერთი ნიშნები საბუთს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ თარგმანებიც იოანნე პეტრიწის ეკუთვნის. მაგ., მარრს არ მიაჩნია ეს აზრი შეურყევლად, თუმცა წინააღმდეგის საბუთიც არ არის. ნამდვილია მხოლოდ, რომ ზოგიერთი მუხლი თარგმანებისა უსათუოდ იოანნე პეტრიწის ეკუთვნის. სამწუხაროდ ჩვენდა, როგორც სჩანს წ.-კ. საზოგადოების წიგნთსაცავში არ მოიპოვება დედანი ამ თხზულებისა. ამისათვის პირდაპირი მოვალეობაა, წ.-კ. საზოგადოების გამგეობისა ფასი გაიღოს და სთხოვოს ნ. მარრს თავს იდვას თხზულების გამოცემა. როგორც მარრის ბროშურიდანა სჩანს ქართულის ფილოსოფიის აღორძინება ყოვლად შეუძლებელია, თუ ეს თხზულება არ გავრცელდა.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ლექცია და პანაშვიდი.** დღეს, დილის 11 საათზე, ქართულ თეატრში პ. გელეიშვილი წაიკითხავს ლექციას ეგნატე ნინოშვილის შესახებ. დღესვე, ნაშუადღევის 1 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულ ბელეტრისტის სულის მოსახსენებლად.

✦ **საექსარხოსოს გაუქმება.** გუშინა ვწერდით, რომ განზრახულია საქართველოში გააუქმონ საექსარხოსო და იმის მაგიერ ორი საარქიეპისკოპოსო დაარსონო, ერთი რუსთათვის, მეორე ქართველთათვისაო. ამის შესახებ. „ბაკუს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „მაისის უკანასკნელ რიცხვებში სინოდი საბოლოოდ გადასწყვეტს საქართველოს საექსარხოსოს საკითხს. საქართველოს ყოფილმა ექსარხოსმა, მიტროპოლიტმა ვლადიმირმა და ფლავიანემ, შეადგინეს კანონ-პროექტი საქართველოს საექსარხოსოს შესახებ. პროექტით, საექსარხოსო რამდენსამე ეპარქიად უნდა გაიყოს და თვითეულ ეპარქიაში დამოუკიდებელი ეპისკოპოსი დაინიშნოს. ნიშნებია, რომ სინოდის უმრავლესობა პროექტს მიემხრობა. კავკასიის ნამესტნიკი საექსარხოსოს გაუქმების წინააღმდეგია“.

✦ **ჩამოხრჩობა.** გუშინ, 16 მაისს, დილის 4 საათზე, ტფილისში, სამხედრო სასამართლოს განაჩენის თანახმად, ჩამოახრჩეს მიხეილ მარგიშვილი. მარგიშვილს ჰბრალდებოდა მიხეილ კუსრალაშვილის მოკვლა.

✦ **„ლალატი“.** დღეს ქართულ თეატრში ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ლალატი“. წარმოდგენა საინტერესოა. ზეინაბის როლში გამოდის ახალგაზდა მსახიობი ქალი ნ. დავითაშვილი. როგორც ამას წინად ვწერდით, დავითაშვილს ზეინაბის როლი შეუსრულებია ქუთაისში და საზოგადოება აღტაცებაში მოუყვანია.

✦ **ნინო ორბელიანის ავადმყოფობა.** კ. ნინო ორბელიანისა, პოეტი ქალი, ამ ჟამად ძლიერ ავად არის. საცხოვრებელი და წამლის ნუგეში კი არსაიდან უჩანს. ნუ თუ შეუძლებელია მოხუცისთვის წამლის ფასი და თავშესაფარი ბინა მაინც უზრუნველ-ჰყონ?

✦ **სახელმწიფო ლომბარდის განყოფილება.** „რუსკ. ვედომ“. სიტყვით, ფინანსთა მინისტრს შეუდგენია პროექტი სახელმწიფო ლომბარდის შესახებ. სახელმწიფო ლომბარდის ცენტრალური სამართველო პეტერბურგში იქნება. სხვა დიდ ქალაქებში კი განყოფილება გაიხსნება. სხვათა შორის, სახელმწიფო ლომბარდის განყოფილებას ტფილისშიაც გახსნიან. სახელმწიფო ლომბარდს ფულს ხაზინა მისცემს 4% თ. თვითონ ლომბარდი კი 6%-ს აიღებს.

✦ **სომხების სამღვდელოების დეპუტაცია.** „ბაკუს“ სიტყვით, პეტერბურგში ჩასულა სომეხთა სამღვდელოების დეპუტაცია. დეპუტაცია კათოლიკოსს იზმირლიანს მიეგებება. დეპუტაცია კათოლიკოზთან ერთად განიხილავს კავკასიის მდგომარეობას და თუ კათოლიკოზი ნებას დართავს, დეპუტაცია შუამდგომლობას აღძრავს, რომ მოწესრიგებულ იქმნას კავკასიელ სომხების მდგომარეობა.

✦ **სწავლის დამთავრება.** ტფ. ქართულ გიმნაზიაში სწავლა დასრულდა. ორშაბათს, 18 მაისს გიმნაზიაში გაიმართება დილა კონცერტით, ხოლო 18 მაისს მოწაფეებს დაითხოვენ საზაფხულოდ.

✦ **ახალი რუსული გაზეთი.** ხვალ, 18 მაისს, გამოვა ახალი ორშაბათის რუსული გაზეთი „ნოვი ტიფლის“ კ. პ. თუმანიშვილის რედაქტორობით.

✦ **სახალხო სეირნობა დოლის მოედანზე.** დღეს დიდუბეში, დოლის მოედანზე, სკობელევის კომიტეტი (ომში დახოცილთა შვილების და დაჭრილის სასარგებლოდ) მართავს სეირნობას. იქნება სხვა და სხვა გასართობი—ველოსიპედებისა და მოტორების გაჯიბრება, დოლი და სხვა.

✦ **შორაპნის და ოზურგეთის მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლები.** „ზაკავკ“ ქუთაისიდან ატყობინებენ: შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ასახელებენ ზურაბ აბდუშელიშვილს, ხოლო ოზურგეთის მაზრის წინამძღოლად—ოზურგეთის ქალაქის თავად ნამყოფს ხუნდაძეს.

✦ **მოწაფეთა ხელ-საქმე.** 31 მაისს ქართველ ქალთა სახელოსნო სკოლის სასარგებლოდ მუშტაიდში გაიმართება სახალხო სეირნობა და ლატარია. ლატარიაში ჩაგდებული იქმნება უმთავრესად ამ სკოლის მოწაფეთა ხელ-საქმე. დღეს და ხვალ ამ ხელ-საქმეს გამოჰფენენ სახელოსნო-სკოლის შენობაში და მსურველს შეუძლიან დაათვალიეროს.

✦ **დაპატიმრება.** 15 მაისს ამაღლების ქუჩის ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 5 უპასპორტო კაცი.

✦ **შეპყრობა.** 14 მაისს, საღამოს 9 საათზე, არსენი ხაფთასის საპარიკმახეროში პოლიციამ დააპატიმრა რაჭის მაზრის მცხოვრები ალექსანდრე შავლაძე რომელიც შარშან, სხვებთან ერთად, მეტეხის ციხიდან გაიქცა. ალექსანდრე შავლაძეს აღმოაჩნდა პატრონტაში რევოლვერის პატრონებით, სამი პროკლამაცია რუსულ და ქართულ ენებზე და სხვა. ამას გარდა საპარიკმახეროს კუთხეში გატენილი რევოლვერი იპოვეს. 15 მაისს შავლაძე დარაჯებმა საგუბერნიო საპატიმროში წაიყვანეს. როდესაც [illegible] ხიდზე გაიარეს, შავლაძე ტკვარში გადავარდა. დარაჯებმა თოფი ესროლეს. შავლაძე სადღაც გაჰქრა. საფიქრებელია, რომ შავლაძე დაიჭრა და დაიხრჩო.

✦ **შემოწმება.** ვაკეზე ვარაზის ხევის ხიდს ქალაქის გამგეობა 21 მაისს შეამოწმებს. ეტლები ეხლავე დადიან.

„შრომის ბირჟის“ გახსნა. 15 მაის, როგორც უკვე ვწერდით, ვერის მოედანზე ქალაქის შენობაში გაიხსნა „შრომის ბირჟა“.

ქუთაისი

✦ **დრამატიულ საზოგადოების კრება.** 14 მაისს ქალაქის გამგეობის დარბაზში, ი. გ. ჩიმაკაძის თავმჯდომარეობით, მოხდა ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების კრება. განხილულ და დამტკიცებულ იქმნა წარსული წლის მოქმედების ანგარიში და მდგომარე წლის აღრიცხვა. წარსულ წელს საზოგადოებას ჰქონია შემოსავალი სულ 1100 მანეთი; მდგომარე წელს კი მოელის 7000 მანეთამდის. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ წარსულ წელს საწევრო ფული შემოსულა სულ 81 მანეთი, მაგრამ სიამოვნებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წელს საზოგადოება მეტის ხალისითა და მხნეობით ეკიდება საქმეს. ამას ამტკიცებს ის მოვლენაც, რომ კრებას საზოგადოება ბლომად დაესწრო, და ისიც, რომ საზოგადოებაში ბევრი ახალი წევრი ჩაეწერა. როგორც გადმომცეს, მარტო ამ კრებაზე შემოვიდა საწევრო ფული ხუთ-თუმნამდის. დიდი კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, თუ ვინ იკისროს საანგარიშო წლის განმავლობაში ქირთულ წარმოდგენების მართვა. კრების ერთი ნაწილი—და მასთან ერთად გამგეობა იმ აზრისა იყო, რომ შედგეს მსახიობთა ამხანაგობა, რომელმაც იკისროს წარმოდგენების მართვა; დრამატიულმა საზოგადოებამ კი დაუქირაოს გამოცდილი რეჟისორი, რომელსაც დაუნიშნოს თვეში 100 მანეთამდის (ეს რეჟისორი, ამ გადაწყვეტილ ჯამაგირს გარდა, წარმოდგე-

---

უხდება დენა. მდ. ხრამის ხეობაშიაც ბევრი შესანიშნავი ციხე-სიმაგრე და ეკლესია-მონასტერი იყო აშენებული. სხვათა შორის, აქ იყო შესანიშნავი ფიტარეთის მონასტერი სოფელ გომარეთის მახლობლად, აგებული საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალის დროს, მეთოთხმეტე საუკუნეში. იმის მოხატულობას და ჩუქურთმას ახლაც განცვიფრებაში მოჰყავს თურმე მნახველი. ზემო ხსენებული ორბეთი ანუ სამშვილდეც ერთი შესანიშნავ ადგილთაგანი იყო. სამშვილდე ქართლოსმა აღაშენა. ფარნავაზმა ქალაქად გახადა და სვიმონ მეფემდე (1558—1600) ქალაქი ეწოდებოდა. ხრამი როგორც ვიცით, მდიდარია თევზით. სიტყვა ხრამულიც აქედან წარმოსდგა.

ხრამ გაღმა, ერთ მწვანე სერის ძირას რკინის გზის სადგური აშაგა-სერალიის გაშენებული. აქედან ძლიერ ახლოა დ. შულავერი და ამიტომ შულავერში მიმავალი მგზავრები, რომელნიც ჩვენ მატარებელშიაც საკმაოდ აღმოჩნდნენ, აქ ჩამოხტნენ. ეტლებიც ბლომად დაუხვდათ. მგზავრები საჩქაროდ ეტლებში გადასხდნენ და ჩვენი მატარებელი ჯერ დაძრულიც არ იყო, რომ მათ ეტლებს ცხენები მძიმედ მიათრევდნენ სერის კალთაზე გაყვანილ უხეირო სასოფლო გზაზე, ტფილისიდან აშაგა-სერალამდე 47 ვერსია, დაახლოებით იმდენი, რამდენიც ტფილისიდან კასპამდე.

ტფილისიდან აშაგა-სერალამდე, როგორცა ვთქვით, ტყე არ არის, მაგრამ საძოვრები და სახნავ-სათესი ადგილები ძლიერ კარგი. აქედან კი ყველაფერი იცვლება. ახლო ჰორიზონტზე ტყით დაბურული მთა გელანდება. გზის მარჯვნივ და მარცხნივ ხშირად გხვდება მწვანე წალკოტებში ჩაფლული სოფლები. აქა იქ მდიდარ მემამულეთა ორ-სართულიანი და ფართო, ბაღ-ვენახებით მორთულ მოკაზმულ ეზოებსაც ამჩნევ. ალაგ-ალაგ პატარა ქართულ ეკლესიების ნანგრევებიც გხვდება თვალში, ეს უხმო მოწმენი ერთ დროს საქართველოს სიცოცხლით სავსე მაჯის ცემისა ამ მაარეში. ცხვრის ფარა გროვა-გროვა დგას და აქა-იქ სერზე მწვანე ნორჩი ბალახით პირს იმტკბარურებს. მათ წინა სდგას გრძელი კომბლით ხელში მწყემსი თათარი. ამ მხარეში მეტი წილი სომხობა და თათრობა სახლობს. ქართველობა მცირეა.

გზა სულ სამხრეთით მიდის. მიუახლოვდი სადგურს სადახლოს და მდინარე დებედას ჩუხჩუხი მოგვესმა. მდ. დებედა ერთვის ხრამს 12-14 ვერსტის დაშორებით მტკვრის შესართავიდან, სიდიდით დებედა მე უფრო დიდად და მრავალწყლოვნად მომეჩვენა, ვიდრე ხრამი. ქართლის საზღვრად ძველად ეს მდინარე ითვლებოდა და ურიგო არ იქნება, მაზე ცოტა შევჩერდეთ.

მდ. დებედას ძველად სამი სახელი ერქვა: ბედრუჯი, საგიმი და დებედა. პირველ სახელ-წოდებას ვახუშტი ხსნის დაბა ბედრიკით, ხოლო უკანასკნელ „დაბადა“-თი. „დაბადა ამ მდინარემ ნაყოფნი“-ო.[3]) შაჰ-აბაზმა ამ მდინარის მიდამოებში მაჰმადიანთა ბორჩალოს ტომის ხალხი დაასახლა და ამის გამო ამ მდინარეს მეოთხე სახელიც დაერქვა—ბორჩალო. ეს სახელი მთელ კუთხეზე გადავიდა.

ბედრუჯა ანუ დებედა გამოდის (ვახუშტით აბოცის მთებიდან) თოფარავანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით 15-20 ვერსის მანძილზედ. ამ მთა-გრეხილს ახლა მცირე კავკასის ქედს უწოდებენ. ეს ქედი უკვე ჩვენ მიერ ნახსენებ ქციის სათავიდან პირდაპირ სამხრეთით მიემართება. წინად ეს ქედი საზღვრავდა ქართლს სამცხე საათაბაგოსაგან. ეს ქედი თავიდან ბოლომდე ტიტველია, მაზე ტყის ჭაჭანება არ არის. მდ. ბედრუჯა ჯერ აღმოსავლეთისკენ მიმდინარეობს. იმის ზემო წელს და უთვალავ პატარ-პატარა შენაკადებს ახლა რუსულ-თათრული სახელები ჰქვია, როგორც მაგალითად კამენკა, კოტურ ჩაი და სხვა. იმის ნაპირას გაშენებულა რუსის სოფელი ვორონცოვკა. მარჯვნივ ბედრუჯას ანუ დებედას უერთდება მდ. ბამბაკი, რომელიც წყლის სიუხვით სჭარბობს დებედასა. გეოგრაფიულის სამართლით უპირველესობა ბამბაკს უნდა მისცემოდა. ბამბაკის სათავე ბედრუჯის სათავიდან მაინც და მაინც შორს არ არის. ბამბაკი ჯერ აღმოსავლეთით მიმდინარეობს კარაკლისამდე, კარაკლისიდან ჩრდილოეთით უხვევს და ერთვის ბედრუჯას. ბედრუჯა-ბამბაკის შესართავთან ძველად იყო ციხე ლორი, რომელსაც როგორც საზღვარზე აშენებულს, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ვახუშტით ეს ციხე აშენებულ იყო ორ მდინარეს შუა, კლდესა ქარაფოვანსა. დასავლეთით კლდოვანი მინდორი უძევს და ამ მხრივ ბევრჯერ აუღიათ მტრებსაო. ლორის ციხიდან დებედა ჩრდილოეთით მიმდინარეობს. სანაინთან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ ბრუნდება და მიდის სულ ასე, სანამ ხრამს შეუერთდება.

მდ. ბედრუჯის ხეობა ერთი საუკეთესო ადგილთაგანია მთელ საქართველოში, როგორც სიმშვენიერით, ისე ბუნების სიმდიდრით, მაგრამ ახლა ქართველობისა არა თუ სახრავი, სახელიც ალარ დარჩა მას. ორივე მდინარის ქვემო წელი გაშლილია და ყანებით, ბაღ-ვენახებით და ხშირი სოფლებით მოფენილი.

დავშორდით სადახლოს და შევედით ბედრუჯის ხეობაში. ავყევით მდინარეს. ბუნება საუცხოოა. თავი ძირულის მიდამოებში მეგონა. ტყეს სცვლის მწვანე სერი, სერს მინდორი, მინდორს ჩირგვნარი, ჩირგვნარს ისევ ტყე და მათ შორის ვეებერთელა ფიქალი კლდეები, ზოგი ბუნებით ჩამორეცხილი და ათას ფრად დაღარულ-დასერილი და ზოგიც ხელოვნურად ჩამონგრეულ-ჩამომტვრეული რკინის გზის გაყვანის დროს.

ბუნება მდიდარია, თქმა არ უნდა, მაგრამ იმერეთის მცენარეთა სიუხვე მაინც არ არის. აქაური ტყე ხელოვნურად დარგული გგონია. იმერული ტყე კი თითქო გეუბნება: რა ვქნა, ამოვდივარ, მაგრამ ადგილი აღარ მყოფნისო. სათავედან სადახლომდე დებედას სულ ვიწრო ხეობაში უხდება დენა. იმისი ხეობა უფრო ვიწროა, ვიდრე ჩხერიმელას ხეობა.

ავყევით ხეობას. შეჰყურებ ამ კლდე-ღრეებს, სხვა და სხვა ზომის, სისქის, ფერის და მოყვანილობის ქვებს, უთავბოლოდ გადახლართულს თიხასთან, ქვიშასთან, კენჭებთან და ძალა-უნებურად ჰკითხულობ მათ ამგვარად გარდაქმნის დიდად შორეულ ისტორიას.

აი, სალი კლდე, რომლის ფიქალ კედელსაც თავს ატეხს აქაფებული დებედა. კლდეს ზემოდ ერთი არშინის სისქეზე [illegible] გროვა ფართო ნაკეცადაა მოთავსებული, ისე სწორედ, თითქო კალატოზების გაკეთებულიაო. იმის ზემოდ სხვა და სხვა ზომის ქვა და თიხა ერთმანეთში არეულა, უფრო ზევით კიდევ წმინდა თიხა მოსჩანს, სქლად ნაკეცად გადასხმული, ზემოდ კი, შორს მაღლა, რაღაც შავი გელანდება ზოლივით—ეს არის ნიადაგი, რომელზედაც მცენარეა ამოსული. ალაგ-ალაგ ძირიდან კენწერომდე სულ სალი კლდეა ამართული.

შეჰყურებ მათ და ფიქრით შორს გარბიხარ. გადადიხარ იმ დროში, როცა მდ. დებედას ხსენებაც არ იყო, არც ეს მწვანით მოსილი მთები იყვნენ აქ აყუდებულნი. აბობოქრებული ლურჯ-ფეროვანი ზღვა ჰქუხდა და ღელავდა ამ ადგილებში. აი იქ, მთის შუა სისქეზე, სადაც კენჭთა ნაკეცი მოსჩანს, ზღვის ტალღა შხუილით გადი-გადმოდიოდა და თევზთა გროვა ბოლოს ნაზის ქნევით ზედ დასრიალებდა. მერე როდის იყო ეს? რა ვიცი. მაშინ დროს არ ანგარიშობდნენ, რადგან მოანგარიშე არავინ იყო, თუმცა მზე ამოდიოდა და ჩადიოდა ისე, როგორც ახლა, მთვარეც ღამ-ღამ ანათებდა და ვარსკვლავებიც ციმციმებდნენ. მხოლოდ ადამიანი არსად სჩანდა. მას შემდეგ გავიდა ასი-ათასი წლები. ზღვა ცოტ-ცოტად დაშრა. კენჭზე ზღვის ტალღამ ქვიშა დაჰყარა და ისე მჭიდროდ მიამაგრა ერთმანეთს, რომ სულ კლდედ გადაიქცია. ბოლოს ზღვა სულ დაშრა და ზღვის ძირზე კუს ზურგივით ამობურთული ზეგანი გაჩნდა. მოვიდა წვიმა, თოვლი, გაჩნდა უანგარიშო ნაკადული და ათას-ფერად დაღარა ჩვენი ახლად გაჩენილი ზეგანი. ნაკადულმა ცოტ-ცოტად კლდე ჩამორეცხა, გაჩნდა ნიადაგი, [illegible] ნარემ. ამ ნაკადულთა შეერთებისაგან გაჩნდა ჩვენი დებედა მდინარეც და იმ დღიდან შეუდგა თავისს დამქცევ მუშაობას. რაც ზღვამ თავისს მრისხანე ტალღის ცემით აშენა, იმას დებედამ თავგუნასავით ცოტ-ცოტად ხრა დაუწყო. ნელ-ნელა გააპო ზღვის მიერ გაშენებული კლდე და იმ ადგილამდი ჩაქლიბა, რა ადგილსაც ახლა ვხედავთ. მისი ურიცხვი შენაკადებიც ასევე მოქმედებდნენ და მათმა დაუღალავმა და ასი ათას წლობით შეუწყვეტელმა მუშაობამ შეჰქმნა ის უანგარიშო სხვა და სხვა ზომის და სახის მთა, რასაც ვხედავთ ამ არემარეში. ადამიანი, საბრალო ადამიანი კი გაჩნდა მაშინ, როცა დებედა თითქმის ახლანდელ დონეზე მიდიოდა. ის დრო, რაც ადამიანმა თვლა ისწავლა და დროთა აღრიცხვა დაიწყო, იმ დროსთან შედარებით როცა მდ. დებედა მუშაობას შეუდგა, სასაცილოზედ სასაცილო გამოვა...

ავყევით დობრუჯას. წყვილი ორთქლ-მავალი ამ აღმართ-აღმართ ჰაპან-წყვეტით მიათრევს რამდენსამე მოძრავ სახლს, ვაგონებად წოდებულს. გავიარეთ პატარა სადგური აირუმი. სადგური დობრუჯის პირას პატარა ვაკეზეა გაშენებული. იმ ერთ ბეწო ვაკეზედაც ჭაობი გაჩენილა, რომელიც, როგორც გადმომცეს, ზაფხულობით საშინელ ციებ-ცხელებას აჩენს თურმე. ამბობენ, რკინის გზის ვერც ერთი მოხელე ერთ წელიწადს ვერ გასძლებს აქა: ან საიქიოს გაემგზავრება, ან საუკუნოდ დასნეულდებაო. ვგონებ იმ პატარა ჭაობის ამოშრობას არც ისეთი ბევრი რამ უნდა. ჰოლანდიელები ხომ ზიუდერზეს ამოშრობას ფიქრობენ.

სად. აირუმს მოსდევს ახტალა. სადგურ ახტალიდან ორ-სამ ვერსის მანძილზეა ახტალის მონასტერი. ვახუშტით [illegible] ეკლე- [illegible] რებით კი იმის მშ[illegible] ეკლესიაში [illegible]

---

3) ვახუშტი: „გეოგრ.“, გვ. 40.

ნებში მონაწილეობის მიღებისათვის კერძო ჯილდოსაც მიიღებს); გარდა ამისა, იზრუნოს რეპერტუარის გაუმჯობესებაზე, ტანისამოსების შეძენაზე და სხვ.; თეატრი კი დაეთმოს შეღავათიანის პირობებით (ყოველ წარმოდგენაზე გადაახდევინებს არა უმეტეს 45 მანეთისა, როგორი შემოსავალიც უნდა იყოს). კრების მეორე ნაწილი კი ამტკიცებდა, უმჯობესი იქნება, დრამატიულმა საზოგადოებამ თვითონ დაიქირაოს მსახიობნი, შეადგინოს დასი, რომელშიაც მსახიობები არჩევით უნდა იქმნენ მიღებულნი, მოიწვიოს გამოცდილი რეჟისორი და თვითონ გაუძღვეს წარმოდგენების მართვას. წარმოთქმულ იქმნა ის აზრიც, რომ ჩვენ არა გვყავს შეგნებულ-განვითარებული მსახიობები; რომ ჩვენს დასში შედიან ისეთი პირები, რომელთაც სკოლის კარები სრულიად არ უნახავთ, ან სკოლის პირველ-მეორე კლასიდან გამოურიცხავთ უნიჭობისა, ან ცუდის ყოფა-ქცევისათვის. საჭიროდ სცნობდნენ დრამატიულ სკოლის გახსნას, სადაც უნდა იწვრთნებოდნენ ჩვენი მსახიობნი, როგორც გონებრივ, ისე ზნეობრივ. ხანგრძლივ კამათის შემდეგ კრებამ საჭიროდ დაინახა—საკითხი თეატრის ანტრეპრიზის შესახებ მაისის დამლევამდის გადასდოს; ახლა კი აირჩიოს გამგეობა, რომელსაც დაავალოს ცნობების შეკრება ჩვენის გამოცდილ მსახიობებისაგან, თუ რა პირობებში იკისრებენ რეჟისორობას. კრების უმეტესი ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ მოწვეულ იქმნას რეჟისორად ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი.

დასასრულ მოხდა გამგეობის წევრთა და კანდიდატთა არჩევნები. გამგეობის წევრებად ფარულის კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ: ი. მ. ჩქოვანი, მ. გ. ანჯაფარიძისა, ი. ი. პერადაშვილი, ა. ნ. ავალიშვილი, ა. ი. კრინიცკი, გ. კ. აბაკელია და პ. ი. გოკიელოვი. კანდიდატებად—დ. ს. კლდიაშვილი და კ. კაჭახიძე.

სარევიზიო წევრთა არჩევნები და სხვა კითხვების განხილვა გადაიდო მაისის დამლევამდის.

ოსმალეთი

ენვერ-ბეი.

ენვერ-ბეი ამდღეებში ხელახლად დაინიშნა სამხედრო აგენტად ბერლინში, საიდანაც 31 მარტის კონტრ-რევოლიუციის შემდეგ წამოვიდა ოსმალეთში რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დღეებში იგი ბერლინში წავა.

გერმანიის ელჩის რჩევა.

გერმანიის ელჩი არწმუნებს ოსმალეთის მთავრობას, ინგლისსა და საფრანგეთს თავი დაანებეთ და გერმანია-ავსტრიის კავშირს დაუჭირეთ მხარიო. თუ ამ რჩევას მიიღებთ, გერმანია და ავსტრია დიდ სესხის ალებას მოგიხერხებენ ბერლინისა და ვენის ბანკირებისგან, თანაც უიმგარანტიოდ, რომელსაც თხოულობენ საფრანგეთის კაპიტალისტებიო.

გენ. გოლცს მარშლობა მისცეს.

სულთანმა ხელი მოაწერა ბძანებას, რომლის ძალით ცნობილი გერმანელთ გენერალი ფონ-დერ-გოლცი რეორგანიზატორი ოსმალეთის ჯარისა, დაინიშნა მარშლად.

კონტრ-რევოლიუციის საქმის გამოძიება.

გამომძიებელმა კომისიამ აშკარად დაამტკიცა, რომ კონტრ-რევოლიუცია ილდიზში დაუმზადებიათ. დაამტკიცა აგრეთვე, რომ დიდძალ მოხელესა და აფიცერს სჭერიათ რეაქციონერების მხარე. რამდენსამე ათას კაცს უთუოდ დაითხოვენ სამსახურიდან. გამოძიებას განაგრძობენ, ახალგაზდა ოსმალები თხოულობენ, აუცილებლად საჭიროა ყველა გამოაშკარავებულ ფაქტის გამოქვეყნებაო.

სპარსეთის ამბები

ოსმალეთისა და რუსეთის ჯარი ჩრდილოეთ სპარსეთში.

ჩვენს გაზეთში კარგა ხანია მოყვანილი იყო კერძო ცნობა, რომ ოსმალეთის ჯარი სალმასტსა და ხოიშიაც მივიდაო. ეხლა გაზეთები იუწყებიან, რომ ოსმალეთის ჯარი მარანდაშიაც მოსულაო.

„ბაქუ“-ს ატყობინებენ თეირანიდან: „ხოისა და მარანდის ახლო თან და თან მატულობს ოსმალოსა და რუსის ჯარის რიცხვი.

ოსმალეთისა და რუსეთის კონსულებმა სასტიკი ბრძანება გასცეს, რომ ერიდონ ყოველ უთანხმოებას ამ ჯარებ შორის. მაგრამ რუსის წრეებს მაინც აფიქრებს ის გარემოება, რომ ოსმალეთი აძლიერებს თავის ჯარს, რომელსაც ქურთებიც ეშველებიან.“

ამ ცნობიდან სჩანს, რომ ხოისა და მარანდაში რუსისა და ოსმალეთის ჯარი ერთმანეთის გვერდით მდგარან.

ქალ. მარანდი ჯულფა-თავრიზის გზაზე მდებარეობს და ამ მხრივ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

ოსმალეთის ჯარი ურმიაში.

„რ. სლოვო“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება ვითომ სარწმუნო წყაროდან: „ამ ჟამად გათავებულად უნდა ჩაითვალოს ის უთანხმოება, რომელიც ოსმალეთს მოუვიდა რუსეთთან და ინგლისთან ურმიის დათმობაზე. ოსმალეთის ჯარი მალე გავა ურმიიდან და სამაგიეროდ გაძლიერებულ იქნება ის ოსმალელი რაზმი, რომელიც იცავს ოსმალეთის საელჩოს თეირანში.“

ვნახოთ, რამდენმდე მართალი გამოდგება ეს ცნობა.

რუსეთი თავის ჯარისთვის საგზაო ხარჯს თხოულობს.

თავრიზში ხმა გავრცელდა, ვითომ რუსეთის მთავრობა 25,000 მანეთს თხოულობდეს იმ ხარჯის ასანაზღაურებლად, რომელიც მას მოუვა თავის ჯარის სპარსეთიდან დაბრუნებაზე. („ბ.“)

ბოიკოტი.

თბილისში კერძო ცნობა მიიღეს, რომ ნეჯეფის მთავარი მუშტეიდი მალე ბოიკოტს გამოაცხადებს იმ სახელმწიფოს საქონლის წინააღმდეგ, რომელიც ჯარს არ გაიყვანს სპარსეთიდანაო.

ლიახოვი სამსახურიდან გადის.

პოლკოვნიკმა ლიახოვმა წერილით გამოუცხადა შაჰსა, მინდა სამსახურიდან გადავდგეო. შაჰმა არ შეიწყნარა მისი თხოვნა, ლიახოვი თავისთან მიიწვია და პირადად სთხოვა, სპარსეთის სამსახურში დარჩითო. ლიახოვმა მაინც უკან არ წაიღო თავისი თხოვნა, მხოლოდ მოახსენა შაჰსა, რომ რუსეთის ელჩს მოველაპარაკები და ისე მოგცემთ გადაწყვეტილ პასუხსაო.

რეაქციონერები თავშესაფარს ეძებენ.

სპარსეთის რეაქციის ცნობილი მეთაურები ემირ-ბაგადურ ჯენგი და შეიხ-ფაზლულა წერილით შეეკითხნენ ნეჯეფის მთავარ მუშტეიდს ხოჯაჯულ-ისლამს: ნეჯეფში რომ მოვიდეთ საცხოვრებლად, უზრუნველჰყოფთ ჩვენ სიცოცხლესა და ქონებასაო? მთავარ მუშტეიდმა უპასუხა, რომ სიცოცხლისა და ქონების უზრუნველყოფა მხოლოდ ხალხს შეუძლიანო.

შაჰს ფული არ ასესხა ბანკმა.

გაჭირვებულმა შაჰმა 10,000 თუმანი სთხოვა თეირანის ბანკს სესხად. ბანკმა უპასუხა: სანამ პარლამენტი არ შეიკრიბება, არც შაჰსა, არც შაჰის მთავრობას ფულს არ ვასესხებთო. ამ პასუხმა ძლიერ შეაწუხა შაჰი.

რუსეთი

◆ **შუამდგომლობა.** ციმბირის სამღვდელოების წარმომადგენლებს სინოდში შუამდგომლობა აღუძრავთ, ქვრივ მღვდლებს ნება მიეცით ხელმეორედ დაქორწინდნენო.

◆ **პურიშკევიჩი და დუბროვინი.** „რეჩის“ სიტყვით დუბროვინი და პურიშკევიჩი შერიგებულან. ამ შერიგებას ის მოჰყვა, რომ პურიშკევიჩი სახელმწიფო სათათბიროში დაიცავს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს“, რომლის შესახებ შეკითხვა კადეტებმა და სოციალ-დემოკრატებმა შეიტანეს.

◆ **კიევის სამღვდელოების დადგენილება.** გაზეთების სიტყვით კიევის სამღვდელოებას ამ დღეებში კრება გაუმართავს. კრებას დაუდგენია, რადგან „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ შესახებ ამ უკანასკნელ დროს ისეთი ამბები გამოქვეყნდა, როგორც გერცენშტეინის მკვლელობა, სტოლიპინის და მილიუკოვის მოკვლის განზრახვა, ამიტომ მღვდლებს არ შეშვენით კავშირის წევრებად იყვნენ და ყველა მღვდელი, რომელიც კი კავშირის წევრია, კავშირიდან უნდა გავიდესო.

◆ **ქურდობა.** „კასპი“ ტომსკიდან დეპეშით ატყობინებენ: ქალაქ ტომსკის სადგურზე 20 ვაგონი ჩაი დაიკარგა. დაკარგულ საქონლის ფასი 400,000 მანეთს უდრის. საქონელი ვლადივასტოკიდან იყო გამოგზავნილი.

◆ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: პერმში 1, ელისავეტოგრადში 2, ორენბურგში 2, ხარკოვში 1, პეტერბურგში 2, ვარშავაში 3, უფაში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ოდესაში 1, პეტერბურგში 2, უფაში 1, ორიოლში 1, კიევში 1, კამენეც-პოდოლსკში 2 კაცი.

◆ **მღვდელ-მონოზონ პანკრატის საქმე.** „რეჩში“ ვკითხულობთ: „უგლიჩში საოლქო სასამართლომ გაარჩია საჩივარი მღვდელ-მონოზონ პანკრატისა, რომელიც გლეხ მიხეილ სოკეტოვს, მის ქალ ოლღა სოკეტოვისას, მეჩექმე ნიკოლოზ მალიშევს და ამ უკანასკნელის ცოლს მარიამს, უჩიოდა 3,626 მანეთი ამამაცალესო. მღვდელ-მონოზანი პანკრატი 70 წლის კაცია. 70 წლის ბერს შეჰყვარებია 17 წლის ქალიშვილი ოლღა სოკეტოვისა. ბერი ისე გაუტაცია სიყვარულს, რომ ღამ-ღამეობით მონასტრიდან იპარებოდა და მთელ ღამეებს თავის „საყვარელ არსებასთან“ ატარებდა. საქმე იქამდის მისულა, რომ „შეყვარებულთ“ გადუწყვეტიათ „კანონიერ ქორწინებით შეუღლება. ოლღა სოკეტოვისა მზითვის დამზადებას შესდგომია, მღვდელ-მონოზანი კი მთავარ ეპისკოპოსთან წასულა, ნება მომეცით ანაფორა გავიხადოვო. მღვდელ-მონოზან პანკრატის თავის „საყვარელ არსებასთან“ ჩემოდანი დაუტოვებია, ჩემოდანში, სხვათა შორის, ყოფილა 3,626 მანეთი. „საყვარელ არსებას“ გადაუწყვეტია, რომ 70 წლის ბებერთან ცხოვრებას ისევ 3,626 მანეთი სჯობიაო და ამიტომ მეჩექმე ნიკოლოზ მალშევთან ერთად მოუპარავს ეს ფული. მღვდელ-მონოზანი დაღონებული დაბრუნებულა, მთავარ ეპისკოპოსი ვერ ენახა, მაგრამ აქ უფრო დიდი უბედურება დაატყდა. დაკარგულიყო ფული. მღვდელ-მონოზან პანკრატიმ ეჭვი მიიტანა „საყვარელ არსებაზე“ და პოლიციას შეატყობინა. პოლიციამ ფული მალე იპოვა. მღვდელ-მონოზანმა ფული იპოვა, მაგრამ ყველაფერი გამოქვეყნდა. ნაფიცი მსაჯულები და მაყურებლები სიცილს ძლივს იკავებდნენ, როდესაც მოწმები 70 წლის ბერის „სიყვარულით გატაცებაზე“ ლაპარაკობდნენ... სასამართლომ ბრალდებული გაამართლა“.

◆ **უცხოელები და რუსეთის კონსტიტუცია.** „რანეე უტროს“ სიტყვით ამ რამდენიმე ხნის წინად მოსკოვში ჩამოსულა საფრანგეთის ერთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, რომელსაც განზრახული ჰქონია პეტერბურგში ფრანგულ ენაზე გაზეთი გამოეცა. ფრანგი მოსკოვში მეპაიებს ეძებდა. გაზეთის მიზანი იყო „რუსეთის კონსტიტუციის დაცვა და გაძლიერება“. მოსკოვში ფრანგს რამდენიმე მეპაიე შეუძენია. მას სხვათა შორის უნახულია ერთი გამოჩენილი ბიუროკრატი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონია უმაღლეს წრეებში და დიდი თანამდებობა სჭერია. ფრანგს განუმარტავს ამ ბიუროკრატისთვის, თუ რა მიზნით სურს გაზეთის გამოცემა და შეჰკითხებია, მთავრობა ხელს ხომ არ შემიშლის ასეთი გაზეთი გამოვცეო. ბიუროკრატს ჩასცინებია და უთქვამს: „გამოეცით .. რუსეთის გლეხ-კაცობა ჯერ ფრანგულად არ ლაპარაკობსო“.

◆ **ბეჭდვითი სიტყვის გამოფენა.** ბეჭდვითი სიტყვის მთავარმა სასამართლომ 9 მაის პეტერბურგში გამართა ბეჭდვითი სიტყვის გამოფენა. გამოფენილია 1908 წლის გამოცემანი. გამოფენა შეიცავს 23,852 გამოცემას და 2,056 გაზეთს და ჟურნალს. როგორც გამოფენიდანა სჩანს, პეტერბურგში 1908 წელს გამოსულა 531 გაზეთი და ჟურნალი. მოსკოვში 249, ვარშავაში 203, ტფილისში 91, რიგაში 58, ვილნოში 46, მინსკში 10, კიევში 61, პოლტავაში 8, დონის-როსტოვში 15, იაროსლავში 11, ნიჟნი-ნოვგოროდში 13, ვოლოგდაში 5, არხანგელსკში 5, პეტროვსკაში 2, სარატოვში 16, ბაქოში 29, ორენბურგში 15, ვორონეჟში 11, ყაზანში 32, პერმში 1, ტომსკში 12, ტობოლში 4, ომსკში 6, კრასნოიარსკში 6, ბლაგოვეშჩენსკში 9 და სხვა. ჟურნალი და გაზეთი გამოსულა 47 ენაზე, დაწყებული არაბულ ენიდან ესპერანტომდე.

წერილი რედ. მიმართ

ანგარიში 1909 წელს აპრილს 11 გამართულ საღამოსი ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნო სკოლის სასარგებლოდ.

ბილეთებისა შემოვიდა 343 მ., ბუფეტი, ყვავილები, მარკენი, აფიშებიდან 182 მ. ხარჯი: საღამოს მოწყობას 232 მ. დარჩა წმინდა მოგება 283 მ. აქედან პრემიად მიღებულია: ქ-ნ თინათინ ფურაქაშვილისაგან—5 მ., კნ. მაიკო ორბელიანისაგან—4 მან., თავ. გიორგი ამირაჯიბისაგან—3 მან.

ქართველ ქალთა ამხანაგობის გამგეობა გულითადს მადლობას უძღვნის ყველას, ვინც კი რითიმე დახმარება აღმოუჩინა ამ საღამოს მოწყობას: ქ-ნ ძნელაძეს, ბბ-ნთ კილოსანიძეს, იმედაშვილს, ევდოშვილს, ნესტეროვს, გოცირიძეს და ფალიაშვილს კონცერტში მონაწილეობის მიღებისათვის.

განცხადებანი

დაიკარგა

პურის საანგარიშო წიგნაკი.

წიგნაკი იყო ჯანელიძის სახელზე და მიჰქონდა პატარა ბიჭს დაიკარგა მიხეილის ქუჩაზე, კიროჩნი ქუჩიდან იუნკრის სასწავლებლამდე.

მპოვნელს ვთხოვთ, მიიტანოს კიროჩნი ქუჩაზე, შარბაბჩევის სახლში, № 35, მეპურე ბოჭორიშვილთან. (1—ი.—1)

ექიმი ი. ს. ხუნდაძე ქუთაისში [illegible] ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე [illegible] 19 [illegible] ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—ნ.—57)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

საღამოთი:

ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**
(წ.—1—87)

გაფრთხილება
დ. ზ. სარაჯიშვილისა
კანტორა ტფილისში.

ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდად **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომელიც საშინლად ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ პ-ნნი მომხმარებელნი.

ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ. სარაჯიშვილი,** ხოლო წვრილის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს **ყოფილი მოსამსახურენი.**

ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი **„ყოფილი მოსამსახურენი“**, და საქარხნო მარკას **„ჯიხვი კლდეზე“**. (20—234—6)

1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილად 1 მანეთიდან
● ხელის მაშინები 25 მანეთიდან ●
იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის პირდაპირ; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (15—გაჟ.—10)

პროვოდნიკის
1897 წ. 1888
1908 წ.
ამხანაგობა
რიგაში
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● იყიდება ნაღდად და ცალობით: ●

რეზინის საქიპაჟო შინები,

პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი“ (წითელი),

პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,

მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.

„**პროვოდნიკი**“-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.

ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების
„პროვოდნიკი“-სა

სი, რომელსაც შემდეგში მიტროპოლიტის ხარისხი მიუღია. ვახუშტის დროს იქ მხოლოდ ერთი მღვდელი ყოფილა. ახლა იქ რუსის ბერები სცხოვრობენ. ახტალის ტაძარს, როგორც ხუროთ-მოძღვრების ნაშთს, განცვიფრებაში მოჰყავს რუსის ისტორიკოსი მურავიოვი: „არ იცი, როგორ დასტკბე მისის ცქერითაო“-ო, ამბობს იგი.*)

სად. ახტალას მოსდევს ახპატი, ხოლო ახპატს სანაინი. ვახუშტი ორივე ადგილს იხსენიებს; „ხოლო არს ახპატი და სანაინი მეფეთა ქართველთათა აღშენებულნი, ეკკლესიანი გუმბათიანნი... გარნა აწ სხედან სომეხნი. არამედ მეფე ქართლისა დასვამს ეპისკოპოზსა მიწერითა არქივატერისათა (სომხის კათალიკოზი)**) “.

ადგილ-მდებარეობა ორივე სადგურს საუცხოვო აქვს. სანაინი მოზრდილი სადგურია. ტფილისში შებმული ორთქმავალი სანაინს იქით არ მიდის, ამიტომ აქ არის დეპო—ორთქმავლის, გამოსაცვლელი ადგილი. ამიტომ მატარებელიც კაი ხანი ჩერდება. კარგა ხანი ვუყურე დებედის ამწვანებულ და ალაგ-ალაგ ჩამოგლეჯილ ნაპირებს. შემდეგ დასავლეთით მივბრუნდი. ჩემ წინ ტყით და ბუჩქნარით დაბურული ლამაზი გორაკი აყუდებულიყო. მატარებლიდან ჩამოვედი ამ გორაკისკენ გასეირნება განვიზრახე, მაგრამ წინ ხიშტიანი ჯარის-კაცი შემეჩხა და, სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, ზრდილობიანად მითხრა: აქეთ სიარული არ შეიძლებაო. რატომ მეთქი, დავეკითხე.—ამ მხრივ არავის უშვებენო. მიმოვიხედე. ლიანდაგის გასწვრივ ოცი-ორმოცი ნაბიჯის მინძილზე, შეიარაღებული ჯარის-კაცები იდგნენ. სულ არ გამხსენებია, რომ აქაც სამხედრო წესებია. მე კი, ქალაქს რომ თავი დავახწიე, ჩემი თავი თავისუფალ ქვეყანაში მეგონა. ბოლოში მოვიხედე, ისევ მეორე მხარეს გადავედი და დებედას შხუილს მიუპყარ ყური.

ტფილისიდან სანაინამდე 103 ვერსია, დაახლოვებით იმდენი, რამდენიც ტფილისიდან ხაშურამდე.

უიარაღო.

(შემდეგი იქნება)

---

*) მურავიოვი: „Грузія и Арменія“.

**) ვახუშტი: „გეოგრ.,“ გვ. 41.

კვლა. მატარე- | შ
ბა „სიხარული“, დიდი ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.